

ახალგაზრდების სამეწარმეო შესაძლებლობები და
საჭიროებები რეგიონებში

თვისებრივი კვლევის შედეგები

შინაარსი

კვლევის მეთოდოლოგია.....	3
ახლგაზრდები და მეწარმეობა საქართველოში.....	4
ახლგაზრდების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის ძირითადი გამოწვევები	8
რეგიონებში მცხოვრები ახლგაზრდების სამეწარმეო შესაძლებლობები	11
რეგიონებში ახლგაზრდული მეწარმეობის SWOT სქემა.....	13
ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები	15
დანართი	18

კვლევის მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევა განხორციელდა ბიზნეს საკონსულტაციო ქსელი საქართველოსა და ჰარჯუს ეკონომიკური განვითარების ცენტრის ერთობლივი თანამშრომლობით, პროექტის - „ახალგაზრდების სამეწარმეო შესაძლებლობების მხარდაჭერა საქართველოში“ - ფარგლებში.

პროექტის მიზანია საქართველოში ახალგაზრდების სამეწარმეო საქმიანობის განვითარება და ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. პროექტის ფარგლებში ჩატარდა სამუშაო შეხვედრები და განხილვები 7 რეგიონალურ ქალაქში, 320 ახალგაზრდას ჩაუტარდა ტრენინგები „მეწარმეობაში“, 2015 წლის საგრანტო კონკურსში გამარჯვებული 15 ბიზნეს პროექტი დაფინანსდა ბიზნესის დაწყების ან განვითარების მიზნით. 2016 წელს პროექტის ფარგლებში ჩატარდება საგრანტო კონკურსის მეორე ნაწილი და ბიზნეს იდეების კონკურსი.

წინამდებარე კვლევის მიზანია ახალგაზრდების სამეწარმეო შესაძლებლობების შეფასება, მათი საჭიროებების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევისთვის გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი - ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა. სულ ჩატარდა 7 ფოკუს-ჯგუფის შეხვედრა მიზნობრივ მუნიციპალიტეტებში: მცხეთა, გორი, ხაშური, ფოთი, ქუთაისი, ზუგდიდი და ქარელი. საშუალოდ ერთ ფოკუს ჯგუფს ესწრებოდა 13 მონაწილე. შეხვედრის მონაწილეები იყვნენ 18-29 წლის ახალგაზრდები, ადგილობრივი თვითმმართველობისა და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები. კვლევა მიმდინარეობდა 2015 წლის 10 მარტიდან 21 მარტამდე.

ფოკუს-ჯგუფების შეხვედრები

#	მუნიციპალიტეტი	ფოკუს-ჯგუფის მონაწილეთა რაოდენობა	თარიღი
1	ზუგდიდი	12	10/3/15
2	ფოთი	11	11/3/15
3	ქუთაისი	19	12/3/15
4	ხაშური	12	17/03/2015
5	ქარელი	12	18/03/2015
6	გორი	12	19/03/2015
7	მცხეთა	12	20/03/2015

ფოკუს-ჯგუფის ჩატარების სახელმძღვანელოს საბოლოო ვერსია მოცემულია დანართ 1-ში.

ახლგაზრდები და მეწარმეობა საქართველოში

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) შეფასების თანახმად, მსოფლიოში 88 მილიონი ახალგაზრდა უმუშევარია, რაც მთლიანი უმუშევრობის 47%-ს შეადგენს. ოფიციალური მონაცემების თანახმად საქართველოში უმუშევარი მოსახლეობის 41% სწორედ ახალგაზრდებზე მოდის. 2014 წელს უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი 15-19 და 20-24 ასაკობრივ ჯგუფებში დაფიქსირდა, 32% და 31% შესაბამისად. ამასთან საგულისხმოა, რომ ახალგაზრდებში უმუშევრობა წლების განმავლობაში სტაბილურად მაღალი მაჩვენებლით ხასიათდება.

ცხრილი 1 უმუშევრობის დონე 15-29 წლის ასაკობრივ ჯგუფებში (%)¹

ასაკობრივი ჯგუფი	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014
15-19 წელი	27.7	30.3	33.4	28.9	33.4	36.9	43.0	31.8
20-24 წელი	32.7	37.0	39.9	38.3	36.3	32.2	33.8	30.5
25-29 წელი	25.8	29.8	29.9	27.8	25.0	25.0	25.7	23.5

ახალგაზრდების ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა, მოტივაციის ამაღლება და გააქტიურება გლობალური გამოწვევაა. განვითარებული სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები ახორციელებენ სხვადასხვა პროგრამებს, რომლებიც მიზნად ისახავენ ახალგაზრდების დასაქმების ხელშეწყობას და მათ სამეწარმეო სფეროში ჩართვას.

განვითარებადი ეკონომიკის ქვეყნებისათვის ახალგაზრდები მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენენ, თუმცა აუცილებელია გარკვეული ღონისძიებების გატარება, რათა მოხდეს მათი შესაძლებლობების რეალიზაცია და ეკონომიკურ აქტივობაში ჩართულობის უზრუნველყოფა.

საქართველოში ზოგადად მაღალია უმუშევრობა, განსაკუთრებით კი ახალგაზრდებში. შესაბამისად, სამეწარმეო ინიციატივების ხელშეწყობა შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც ახალგაზრდების გააქტიურების და მათი რესურსის ათვისების ერთადერთი ეფექტიანი საშუალება.

საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები, მათ შორის ეკონომიკის სამინისტრო, ქ. თბილისის მერია და ა.შ. ახორციელებენ გარკვეულ პროექტებსა და პროგრამებს, რომელთა ბენეფიციარებიც

¹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური; <http://geostat.ge/>

შესაძლოა გახდნენ ახალგაზრდები. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უშუალოდ ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარებისაკენ მიმართული აქტიური და იმავდროულად სტაბილური პოლიტიკა ქვეყანაში არ ხორციელდება.

ქვემოთ მოცემულია მეწარმეობასთან დაკავშირებული იმ პროგრამების მიმოხილვა, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა საჯარო უწყებების მიერ.

მეწარმეობის განვითარების სააგენტო

2014 წლის მარტში დაარსდა მეწარმეობის განვითარების სააგენტო, რომელიც წარმოადგენს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს. სააგენტო მთლიანად ორიენტირებულია სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებაზე, კერძო სექტორის განვითარებაზე, მცირე და საშუალო საწარმოების და ექსპორტის ხელშეწყობაზე. სააგენტო ახორციელებს სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“.

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო

2014 წლის 19 თებერვალს შეიქმნა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული და მის სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო.

პროექტი „ბიზნეს-ინკუბატორი“ (FabLab) – პროექტის „ბიზნეს-ინკუბატორის“ ფარგლებში თბილისის მერიას, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის არის გაფორმებული მემორანდუმი. „ბიზნეს-ინკუბატორი“, „ტექნოლოგიური განვითარების ფონდის“ ერთ-ერთი მიმდინარე პროექტია.

FabLab-ის მიზანია - დამწყები მეწარმეების (Start Up-ების) და ინოვატორების ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტებში მოეწყობა FabLab-ები - უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი 2 ინოვაციური, სამრეწველო ლაბორატორია.

პროექტის ფარგლებში ყველა დაინტერესებულ ადამიანს შეეძლება FabLab-ში მუშაობა და მისთვის საინტერესო პროდუქციის შექმნა, რომელიც შეიძლება იყოს:

- ტურისტული პროდუქტების წარმოება (თბილისის სიმბოლიკა და სხვა);
- ახალი შენობების, ხიდების და სხვა მსგავსი სახის კონსტრუქციების მოდელირება და მაკეტირება;
- კულტურულ ძეგლებზე დაზიანებული კომპონენტების რესტავრირება;

- მუნიციპალური სკოლების და ბაღების შიდა ინფრასტრუქტურისთვის (ინტერიერისკომპონენტები, სათამაშოების და სხვა) მაკეტების და მოდელების შემუშავება;
- თბილისის მასშტაბით ჩასატარებელი ღონისძიებებისთვის დეკორაციების, მაგიდების, სტენდების და სხვა რელევანტური ინვენტარის მოდელირება;
- ახალი მონუმენტების და ძეგლების მაკეტების შემუშავება;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის ინფრასტრუქტურის მოსაწყობი სხვადასხვა ტიპის მაკეტების მოდელირება;
- სხვა ინოვაციური პროექტებისთვის თუ პროდუქტებისათვის მაკეტების და მოდელების შექმნა.

ორივე FabLab-ის გახსნა 2015 წლის სექტემბრის დასაწყისში იგეგმება.

საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო ასევე ახორციელებს პროექტს "**St-ART-up მარათონი**". პროექტის მეშვეობით დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შანსი, დახვეწონ, განავითარონ და განახორციელონ ბიზნეს-იდეა, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის (Fablab) მეშვეობით. თავდაპირველ ეტაპზე ყველა დაინტერესებული პირი გადის სატრენინგო კურსს, ლაზერული მჭრელის (Laser Cutter) მუშაობის პრინციპის შესახებ.

ინჟინრებს, პროგრამისტებს, დიზაინერებსა თუ მარკეტოლოგებს საშუალება ეძლევათ სხვადასხვა სფეროში მოღვაწე პროფესიონალი მენტორების დახმარებით ჩამოაყალიბონ გუნდები, ერთობლივად შეიმუშაონ იდეები, შექმნან ბიზნეს მოდელი, ასევე შექმნან პროდუქტის 2D მოდელი და ჩამოაყალიბონ კომპანია. შერჩეული მონაწილეები გადავლენ პროექტის შემდეგ ეტაპზე, რომელიც ითვალისწინებს პროტოტიპის შექმნასა და მის რეალიზებას. პროდუქტის ბაზარზე გატანა პირველად მოხდება პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ გამოფენა-გაყიდვაზე. ერთი და იგივე პროფილის სტუდენტებს საშუალება ეძლევათ გაიცნონ ერთმანეთი, ერთად იმუშაონ იდეებზე და სინერჯის საფუძველზე შეიქმნას ინოვაციური პროექტები, რომლებიც სააგენტოსა და სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიის მხარდაჭერით რეალურ პროდუქტებად და ბიზნესად გარდაიქმნება.

ქ.თბილისის მერია

2015 წლის 9 მარტიდან თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ თბილისის მეწარმეობის ხელშეწყობის ცენტრი“ დაფუძნდა. ცენტრის ფუნქციაა მეწარმეობის ხელშეწყობისთვის კონკრეტული პროექტებს შემუშავება, ინვესტიციების მოზიდვაზე ზრუნვა და სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაში დახმარება. ცენტრი მერიის ბიუჯეტის გარდამავალი ნაშთიდან 2 მილიონი ლარით დაფინანსდება.

თბილისის მერია ბიზნესს 2011 წლის იანვრიდან უზრუნველყოფს „ იაფი კრედიტი“ პროგრამით. „იაფი კრედიტით“ სარგებლობა შეუძლიათ მხოლოდ თბილისში რეგისტრირებულ

ბიზნესებს ან ბიზნესის დაწყების მსურველ პირებს. თბილისის მერიამ „იაფი კრედიტის“ პროგრამის ფარგლებში საკუთარი ბიუჯეტიდან გამოყო 5 მილიონი ლარი. სესხის მაქსიმალური ოდენობა თითოეულ პირზე - 150 ათასი ლარით, საპროცენტო განაკვეთი კი 6%-ით განისაზღვრა. მეწარმემ სესხი 3 თვის განმავლობაში უნდა დაფაროს.

თბილისის მერია, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ევრაზიის ფონდთანაც თანამშრომლობს. სოციალური საწარმოს შექმნით ან გაფართოებით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა ეძლევათ ევრაზიის თანამშრომლობის ფონდში შეიტანონ საპროექტო განაცხადი საგრანტო დაფინანსების მოსაპოვებლად და „იაფი კრედიტის“ პროგრამის ფარგლებში თბილისის მერიისგან თანადაფინანსებისთვის მიიღონ სესხი. ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი „იაფი კრედიტის“ პროგრამის ფარგლებში 50 ათას ლარს გამოყოფს, გრანტის მაქსიმალური ოდენობა 10 ათასი დოლარია. გრანტის მისაღებად აუცილებელი მოთხოვნაა, რომ პროექტის ღირებულებების მინიმუმ 30% სესხით შეივსოს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

2015 წლის „საქართველოში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაციის ხელშეწყობის პროგრამის“ შემადგენელი ერთ-ერთი ღონისძიებაა - ტრენინგი „ახალგაზრდა მეწარმე“.

2014 წლის „საერთაშორისო თანამშრომლობის პროგრამის“ ერთ-ერთი კომპონენტია **ქართველი და ჩინელი ახალგაზრდების საერთაშორისო ტრენინგი - ახალგაზრდა მეწარმეობის წასახალისებლად**. გამომდინარე იქიდან, რომ ჩინეთი მეწარმეობის თვალსაზრისით წამყვანი ქვეყანაა მსოფლიოში, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო გეგმავს საერთაშორისო ტრენინგის მოწყობას, სადაც მონაწილეობას მიიღებენ, როგორც ქართველი, ასევე ჩინელი ახალგაზრდები. პროექტი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა მეწარმეებს შორის კონტაქტის დამყარებას, ჩინური გამოცდილების გაზიარებას და ერთობლივი სამომავლო გეგმების განხორციელებას.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ტიპის პროგრამები ხორციელდება ასევე საერთაშორისო და არასამთავრობო სექტორის მიერ, ფაქტობრივად ახალგაზრდების სამეწარმეო სფეროში ჩართულობის უზურუნველყოფის და მათი რეალური მხარდაჭერის ღონისძიებები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. ამასთან, აღნიშნული ჯგუფისათვის მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერა საკმარისი არაა და აუცილებელია ისეთი სისტემების შექმნა, რომლებიც ორინეტირებულნი იქნებიან სხვა საკითხებზეც, მათ შორის: საკონსულტაციო მომსახურება, იდეების სწორი ფორმირება და შეფასება, უნარების ზრდა, მხარდაჭერა მარკეტინგულ ღონისძიებების გახორციელებაში და ა.შ

განვითარებულ ქვეყნებში ადგილობრივი თვითმმართველობები აქტიურად არიან ჩართულები ადგილობრივი ახალგაზრდების სამეწარმეო შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებით. საქართველოში კი თითქმის არ გვხვდება ამგვარი, თუნდაც ერთჯერადი ხასიათის პროგრამები

ანდა ინიციატივები. თუნდაც მწირი ფინანსური რესურსების პირობებშიც კი შესაძლებელია, რომ თვითმმართველობამ საკუთარ თავზე აიღოს ახალგაზდების სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა. ამასთან, საგულისხმოა, რომ რეგიონებში მცხოვრები პირებისათვის კიდევ უფრო შეზღუდულია მათი მოტივაცია და შესაძლებლობებიც.

ახალგაზდების სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვის ძირითადი გამოწვევები

წინამდებარე დასკვნები შემუშავებულია საქართველოს 7 მუნიციპალიტეტში ჩატარებული თვისებრივი კვლევის შედეგად. ბუნებრივია, ეს შედეგები ვერ იქნება მეცნიერულად რეპრეზენტატიული საქართველოს მასშტაბით გავრცელებისათვის. თუმცა, დასმული საკითხები ცალსახად აქტუალურია ქვეყნის მასშტაბით და შესაძლოა არსებობდეს მცირედი ვარიაციები რეგიონალური ეკონომიკის თავისებურებების გათვალისწინებით.

ახალგაზრდების მეწარმეობრივი შესაძლებლობების რეალიზაციის უმთავრესი გამოწვევა რეგიონებში არის მათივე ინდეფერენტული დამოკიდებულება და მოტივაციის უაღრესად დაბალი დონე. ეს ცნობიერება კი თავის მხრივ კომპლექსური ფაქტორებითაა გამოწვეული, კერძოდ კი: ცოდნის დაბალი დონე, არ იცნობენ წარმატების ისტორიებს; არ მიუწვდებიან ხელი ფინანსურ რესურსებზე, არ აქვთ პროფესიული კონსულტაციების მიღების შესაძლებლობა და ა.შ. „ნაკლებად აქტიური მოსახლეობაა და არც მონდომება არ აქვთ ახალგაზრდებს, არ უჩნდებათ სურვილი რომ რაღაც გააკეთონ“; „ცნობიერების დონეა შესაცვლელი პირველ რიგში, ახალგაზრდებს გონიათ ან უნდათ რომ ვიღაცა მოვიდეს და უთხრას აგერ შენ სამსახური, აგერ 1000 ლარი მიდი და იჯექი, და ელოდებიან ამ დღეს“ - აცხადებენ ფოკუს-ჯგუფის მონაწილეები ქუთაისში. ზუგდიდშიც მსგავსი პოზიცია დაფიქსირდა - „ჩვენთან ყველას უნდა კაბინეტში ჯდომით აკეთოს ფული. არადა ყველა შესაძლებლობა უნდა გამოიყენოს კაცმა, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება ბარიერია ის რომ არ გაკიცხოს საზოგადოებამ. ეს მენტალობა უნდა მოვიშოროთ და ამას უნდა დიდი ხელშეწყობა“. კიდევ უფო ძლიერია უიმედო განწყობა ფოთში „მინდა ვთქვა ასეთი რამ კიდევ რომ საქართველოში თუ რაიმეს მიღწევა გინდა ან ხელიდან უნდა წახვიდე ან კიდევ ქვეყნიდან უნდა წახვიდე, დაახლოებით ასეთი მდგომარეობაა დღეს!“.

რეგიონებში არსებული მძიმე სოციალურ ეკონომიკური პირობები კიდევ უფრო აღრმავებს ახალგაზრდებში ნიჰილისტურ დამოკიდებულებას საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყების კუთხით. ზოგიერთ მათგანს გააჩნია გარკვეული იდეები, მაგრამ ვერ ხედავენ **გაყიდვების ბაზარს ადგილზე**, რაც ფინანსური რესურსების გაჩენის შემთხვევაშიც კი მნიშვნელობან ბარიერს წარმოადგენს საქმიანობის დაწყებისა და შემდგომი განვითარებისათვის. „ძალიან ძნელია ბიზნესიდეის შემუშავება, როდესაც იცი რომ შენ კი გაქვს არც ისე ცუდი იდეა, მაგრამ არ არის ამის ბაზარი ადგილზე. სხვა რეგიონში გატანა ან ექპორტი ხომ არარეალისტურია დამწყები ახალგაზრდისათვის. შეიძლება ახალგაზრდებს ქონიათ აზრად, მაგრამ რადგან ამის რეალიზაცია მიხვდა რომ რეალური ვერ იქნებოდა, ამიტომ გადაწყვიტა სხვა მხრივ განვითარებულიყო, და დრო არ დაეკარგად იმაზე ფიქრით რისი გაკეთებაც ამ ეტაპისთვის

შეუძლებელი იქნებოდა“ განაცხადეს ახალგაზრდებმა ზუგდიდში. ფოთშიც თვლიან, რომ მოსახლეობის არასაკმარისი რაოდენობა და მძიმე სოციალური ფონი ის წინაპირობებია, რომელთა გამოც რთულია წარმატებული ბიზნეს იდეების შემუშავება: „აი მაგალითად ვფიქრობდით პატარა კინოთეატრის მოწყობას, მაგრამ ვინ ივლის - სად არის ამდენი მოსახლე ან რომც იყოს ვის აქვს ბილეთის საყიდი ფული?! ამიტომ საჭიროა ჯერ რომ ეკონომიკაც ცოტა წინ წაიწიოს და ბაზარი გაჩნდეს“.

ამ მიმართულებით ასევე აღსანიშნავია ის, რომ ახალგაზრდების ბიზნეს-იდეები შეზღუდულია ადგილობრივ რეგიონში მეტ-ნაკლებად განვითარებული დარგებით და მათ, როგორც წესი, არ გააჩნიათ ინოვაციური იდეები. მაგალითად, ფოთში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის მეთევზეობაა ყველაზე მისაღები მიმართულება, გორსა და ქარელში კი - მეხილეობა, მცხეთაში - ტურიზმი და ა.შ. შესაბამისად, მათთვის უფრო მისაღებია ტრადიციულ დარგებში საქმიანობის დაწყება, სადაც თავის მხრივ ადგილობრივ დონეზე კონკურენცია საკმაოდ მაღალია.

ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაბალი დონე ასევე მნიშველოვანი ბარიერია ქვეყანაში ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარებისათვის. ზოგადად, ე.წ. „სტარტ-აპ“ ბიზნესისათვის დაფინანსების მოპოვება, მითუმეტეს საბანკო სექტორისაგან საკმაოდ რთულია. თითქმის არ არის სახელმწიფო პროგრამები, რომლებიც დამწყებ ბიზნესმენს დაეხმარება. საკითხი კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ახალგაზრდულ ბიზნეს ინიციატივას ეხება საქმე. ერთის მხრივ ბუნებრივიცაა, რომ კერძო საფინანსო სექტორისათვის ახალგაზრდა დამწყები მეწარმე უაღრესად მაღალი რისკების მატარებელია დაფინანსების მისაღებად. ამდენად, მხოლოდ სახელმწიფო და საერთაშორისო სექტორს შეუძლია ახალგაზრდა მეწარმეებისათვის ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობის გაზრდა იაფი კრედიტის ანდა გრატის გაცემის გზით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ახალგაზრდებს ქვეყანაში და განსაკუთრებით რეგიონებში ფაქტორბრივად არ აქვთ იმის ობიექტური შესაძლებლობა, რომ იმუშაონ გარკვეული პერიოდი და დააგროვონ თანხები საკუთარი საქმიანობის დასაწყებად. მათთვის სახელმწიფო ან საერთაშორისო პროგრამების ერთადერთ ალტერნატივად ისევ საკუთარი ოჯახის მხრიდან მიღებული ფინანსური დახმარება შეიძლება იყოს. „სტარტაპის თანხა არ არის - აბა ახალგაზრდა ვინ მიცემს ფულს მიდი და რაც გინდა გააკეთეო, გასაღების ბაზარიც ჭირს, არც სამუშაო ადვილი საშოვი. უნდა შეეწყოს ხელი ახალგაზრდობას, რადგან არ წავიდნენ სოფლებიდან. საწყისს ეტაპზე დაგვეხმარონ, რომ არ დაგვჭირდეს ბანკიდან სესხის აღება, ან რომც მივმართოთ რომელი ბანკი მოგვცემს ჩვენ კრედიტს“ - აცადებს ხაშურის ჯგუფის მონაწილე. „ვისაც რამის გაკეთება სურს და იდეები აქვს მათ ფული არ აქვთ, ხოლო იმ ახალგაზრდებს ვის ოჯახსაც მაღალი შემოსავლი აქვთ, სულ არ აინტერესებთ ბიზნესის დაწყება - წავლენ და იყიდიან მანქანას 25000-იანს და დადიან წინ და უკან.“ - აცხადებს ფოთის ფოკუს-ჯგუფის მონაწილე ახალგაზრდა. მცხეთაშიც მიიჩნევენ, რომ ახალგაზრდებისათვის განსაკუთრებით შეზღუდულია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა: „ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს ტურიზმის მიმართულებით, მაგრამ ყველაფრისთვის ფულია საჭირო, ჩვენ კი ამის საშუალება არ გვაქვს რომ თვითონ მოვიზოდოთ

თანხები. ინვესტორი თუ შემოვა ვინმე, იმას ახალგაზდების დაფინანსება და გაძლიერება რაში აინტერესს“.

ასევე რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების მხოლოდ ნაწილი ათვისებულ პროფესიის სწორად არჩევის მნიშვნელობას. ისინი აცხადებენ, რომ როგორც წესი პროფესიის არჩევის შესახებ გადაწყვეტილებას ოჯახი იღებს და ხელმძღვანელობს „პრესტიჟულობის“ პრინციპით. „ჩვენ გვაქვს გამჯდარი, რომ ყველას გვინდა პრესტიჟული პროფესია და ვეძებთ პრესტიჟულ სამსახურს და მუშაობა ყველას გვეზარება, მითუმეტეს სოფლის მეურნეობაში, თოხის დაჭერა მარტივად რომ ვთქვათ სირცხვილია. ესე იგი 5 მილიონიანი ერი ვართ და სადღაც 5000 საერთაშორისოზე სწავლობს, რათ სჭირდება ამდენი პოლიტიკოსი, სად იმუშავენ, სად არის ამდენი საელჩო, არარაციონალურად ვაზროვნებთ. - განაცხადა ზუგდიდის ფოკუს-ჯგუფის მონაწილემ. ხოლო გორის ჯგუფის ახალგაზრდა კი მიიჩნევს, რომ : „დღეს ახალგაზრდები უბრალოდ სწავლობენ, რადგან ასეთი სტილია ცხოვრების, უნდა ისწავლოს და არა იმიტომ რომ აინტერესებთ არჩეული პროფესია, რეალურად ისიც არ ვიცით რაზეა მოთხოვნა და რაზე არა“. გორში მცხოვრები ახალგაზრდები კი მიიჩნევენ, რომ „ მთავარი პრობლემა ისაა, რომ დასაქმების ბაზარი არ არის კარგად შესწავლილი - არავინ იცის რა პროფესიით ექნება ახალგაზრდას დასაქმების მეტი შანსი. ან თუნდაც ბიზნესის დაწყება თუ უნდა რა განათლება უნდა მიიღოს, სად ისწავლოს უბრალოდ არ იცის - სადაც მოხვდება იქ სწავლობს. ზოგადად ახალგაზრდობა პროფესიული სასწავლებლების მიმართ ძალიან პასიურია.“

ბიზნეს-განათლების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე ასევე დასახელებული იქნა, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბარიერი. ჰიპოთეზურად ყველა ახალგაზრდას სურს ჰქონდეს საკუთარი შემოსავლიანი ბიზნესი. თუმცა, მათი ნაწილი ათვისებულ პროფესიებს რომ ბიზნეს პროცესებს კონკრეტული ცოდნა და უნარები სჭირდება. თუმცა, მათ ამ ცოდნის მიღების ობიექტური შესაძლებლობა არ აქვთ. „მე დავასახელებდი განათლების შეუსაბამობას, ბიზნეს ფილოსოფია არ არსებობს, აღქმა ზოგადად თუ რა არის ბიზნესი, ეს ხელს უშლის ადამიანს ბიზნესის წარმოებაში“ - აცხადებენ ქუთაისში. „ ცოდნა არ გვაქვს პირველ რიგში, აი რომ მომცე ფული და დავიწყო დიდი ბიზნესი, იქ ადამიანების მართვას ცოდნა უნდა, ფინანსებს თავისებური ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, როგორ უნდა გაყიდო და ასე შემდეგ - თუ ეს არ იცი და ვინმემ თუ არ დაგაკვალიანა , მარტო ფულის შოვნა და კარგი იდეა არ გიშველის - აცხადებენ ქარელის ახალგაზრდები.

ამასთან, ახალგაზრდების მიერ დასახელებულ იქნა საფრთხეები, რომელთა წინაშეც ისინი, როგორც პოტენციური მეწარმეები დგანან. აღსანიშნავია, რომ საფრთხეთა ჩამონათვალი თითქმის მსგავსია ყველა რეგიონისათვის:

1. **არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო.** ძირითადად აქცენტი კეთდება სავალუტო კურსსა და მოსახლეობის დაბალმსყიდველუნარიანობაზე.
2. **კლიმატური პირობები და ბუნებრივი კატაკლიზმები** (სოფლის მეურნეობის მიმართულებით ნებისმიერი საქმიანობისათვის).

3. **შიდა და გარე მიგრაცია.** რეგიონალური ახალგაზრდები მიიჩნევენ, რომ მათი პროგრესული ჯგუფი უპირატესობას ანიჭებს დიდ ქალაქებში სამსახურის დაწყებას. ასევე, ისინი ვინც სასწავლებლად მიდიან საზღვარგარეთ ყველაფერს აკეთებ იმისათვის, რომ დარჩნენ და იქ იშვონ სამსახური. შესაბამისად, ადგილზე აღარ არიან განათლებული და მაღალი შესაძლებლობების კადრები.
4. **მაღალი კონკურენცია რეგიონში შედარებით განვითარებულ დარგებში,** სადაც თავის მხრივ, ყველაზე ხშირად სურთ ახალგაზრდებს სამეწარმეო საქმიანობაში ჩართვა.

რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების სამეწარმეო შესაძლებლობები

ახალგაზრდებს გააჩნიათ განსაკუთრებული სამეწარმეო პოტენციალი და შესაძლებლობები, თუმცა ხშირად რეგიონებში ეს პოტენციალი არის ფარული და საჭიროებს დამატებით მასტიმულირებელი ღონისძიებების გატარებას, რათა გაიზარდოს საკუთარი თვითშეფასება და რწმენა შესაძლებლობებში.

ახალგაზრდებს სამეწარმეო საქმიანობაში ჩართულობის თვალსაზრისით ყველაზე მეტი შესაძლებლობა აქვთ **მიკრო და მცირე ბიზნესის მიმართულებით**. ფაქტობრივადაც მათი ბიზნეს-იდეები როგორც წესი ასახავს ადგილობრივ საბაზრო საჭიროებებს და გულისხმობს მცირე მასშტაბიან საქმიანობას. თუმცა ისინი იმავდროულად ხედავენ გაფართოების შესაძლებლობას გამოცდილების აკუმულირებისა და ფინანსური წარმატების მიღწევის კვალდაკვალ. „უკეთესია თუ მცირე ბიზნესის განვითარებას შეეწყობა ხელი, ჩვენთან მოსახლეობის რაოდენობა მცირეა და დიდი რაღაცის გაკეთებას უბრალოდ აზრი არ ექნება“ - აცხადებს გორის ჯგუფის მონაწილე.

განსაკუთრებულია ახალგაზრდების **როლი ინოვაციური (თუნდაც რეგიონის დონეზე) ინიციატივების განხორციელებაში, ასევე ე.წ. სანიშე სფეროების ათვისების კუთხით**. რამდენადაც მსხვილ ბიზნესს არ უღირს ასეთი მიმართულებებით მუშაობა, შეიძლება ითქვას რომ ეს სივრცე თავისუფალია შემდგომი ათვისებისათვის. თუმცა, მონაწილეთა უმეტესობა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციას მაინც ტრადიციულ დარგებში ხედავს, ძირითადად სოფლის მეურნეობის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, რამოდენიმე გამონაკლისი მაინც იყო, როდესაც ახალგაზრდებმა „არატრადიციული“ დარგებიც დაასახელეს მათთვის საინტერესო პრიორიტეტად: მაგალითად მცხეთის ფოკუს-ჯგუფის მონაწილის აზრით, „კარგი იქნება მცხეთასთან ახლოს ტყეში ღია-ცის ქვეშ კინოთეატრის მოწყობა, რომელიც ისევ ახალგაზრდა ტურისტებზე და ადგილობრივ მოსახლეობაზეც იქნება ორიენტირებული, ასეთი რამ ჩვენთან საერთოდ არ არის“. „ყინვისის ტაძარი გვაქვს, ასევე შესანიშნავი ბუნება და ბევრი სხვა ადგილი სანახავი, შეიძლება ძალიან კარგი ტურების მოწყობა - მაგრამ ჩვენთან ტურიზმი საერთოდ არ არის განვითარებული“; „აგროტურიზმის აქვს ძალიან დიდი პონეციალი და საინტერესოა

ჩვენთვის - ბევრი ახალგაზრდა შეიძლება ჩაერთოს“ - აცხადებენ ქარელში მცხოვრები ახალგაზრდები. ფოთელი ახალგაზრდის აზრით კი: „აი მაგალითად ცხენოსნობის განვითარება იქნებოდა ძალიან საინტერესო ჩვენთან, თან ისტორიული ტრადიციები გვაქვს, ეს ტურისტებსაც მოიზიდავდა და ფოთელებსაც“

პარტნიორობა და გამოცდილების გაზიარება ადგილობრივ წარმატებულ ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლებთან ასევე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი შეიძლება იყოს ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის გაძლიერებისათვის. ახალგაზრდების მთავარი პრობლემა გამოცდილებისა და ცოდნის არქონაა და არსებული ბიზნეს ერთეულებთან თანამშრომლობით კი შეძლებენ ამ ჩავარდნის აღმოფხვრას. ამასთან, შესაძლოა მათ საკუთარი ბიზნეს იდეა დახვეწონ ან საერთოდ შეცვალონ კიდეც, ნახავენ რა პრაქტიკაში როგორ ხდება ბიზნესის ოპერირება. ამ კუთხით, რა თქმა უნდა, მხოლოდ ახალგაზრდების სურვილი საკმარისი არაა, და კერძო სექტორიდანაც უნდა იყოს მზადყოფნა მენტორობა გაუწიოს ახალ თაობას. ”კარგი იქნება თუ წარმატებული ბიზნესმენები გაგვიზიარებენ საკუთარ გამოცდილებას, გვეტყვიან რას მივაქციოთ ყურადღება, რა პრობლემები შეიძლება შეგვექნას“ - მიიჩნევს ზუგდიდის ჯგუფის წარმომადგენელი. „საკუთარი ბიზნესი რომ დაიწყო და მართო მენეჯერული უნარები უნდა გქონდეს, ეს ან უნდა ისწავლო სადმე ან კიდე უკეთესო თუ პრაქტიკას მიიღებს უკვე წარმატებული ბიზნესისგან“ - მიიჩნევენ ქარელში. აღნიშნული მიმართულება შეიძლება ძალიან საინტერესო და ეფექტიანი ინიციატივა გამოდგეს საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავროებისათვის, რათა მათ შექმნან გარკვეული პლატფორმა კერძო სექტორისა და ახალგაზრდების თანამშრომლობისათვის.

ტურიზმისა და დაკავშირებული მომსახურების სფეროების განვითარების ხელშეწყობა ასევე დადებითად იმოქმედებს ახალგაზრდების სამეწარმეო ინიციატივების რეალიზაციის თვალსაზრისით. რეალურად თითქმის ყველა მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების უმეტესება ხედავს ტურიზმის დიდ პოტენციალს. ამასთან მცირე ზომის ბიზნესის დაწყება შედარებით ადვილია და ნაკლებ ინვესტიციებს მოითხოვს, რაც კიდეც უფრო მიმზიდველს ხდის ახალგაზრდებისათვის ამ სფეროს, განსაკუთრებით ტურისტული მარშრუტების დაგეგმვის და ექსკურსიების ორგანიზების კუთხით. ამასთან, რეგიონალური განვითარებისათვის აგროტურიზმს ობიექტურად გააჩნია განვითარების პოტენციალი. თუმცა აუცილებელია თვითონ დარგის გაძლიერების ხელშეწყობა და ტურისტული ნაკადების გაზრდა როგორც უცხოელების ასევე შიდა ტურისტების რაოდენობის მატების გზით. „ტურიზმი ის თემაა, რაზეც ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს ქუთაისში. თუნდაც ექსკურსიების შეთავაზება სკოლებისათვის, მათ შორის მეზობელი რეგიონებისათვის ან თუნდაც თბილისისათვის, აქ იმდენი რამეა სანახავი ყველა ასაკის ადამიანს რომ დაინტერესებს ქართველი იქნება თუ უცხოელი“ - განაცხადეს ქუთაისში. „ხაშურის რაიონში ბევრი დამსვენებელი ჩამოდის, მაგარამ არც ერთი კაფე არ არის, სადაც ახალგაზრდები შეიკრიბებიან, ინტერნეტ კაფეც საჭიროა“ - მიიჩნევენ ხაშურში. „გორში ბევრი რამის გაკეთება შეიძლება ტურისტებისათვის, ყველა უცხოელმა იცის სტალინის მუზეუმი და იქ მიდიან მარტო, მაგრამ გვერდზე ეთნოგრაფიული მუზეუმი და არავინ არ შედის და

იცით რატომ? არავინ არ იცის რომ არის არც ეგ მუზეუმი და არც სხვა ღირსშესანიშნაობები. საჭიროა რომ ინფორმირება მოხდეს ტურისტების, მეტ ადგილს მოინახულებენ, მეტი ხანი დარჩებიან, მეტ ფულს დახარჯავენ“ - მიაჩნიათ გორელ ახალგაზრდებს.

ახალგაზრდები ასევე თვლიან, რომ მათი დახმარების კუთხით მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ არასამათავრობო სექტორსა და ადგილობრივ თვითმმართველობებს, განსაკუთრებით ინფორმირებისა და არაფორმალური განათლების მიღების კუთხით. „ხშირად არის რომ არსებობს ჩვენთვის საინტერესო პროექტები, პროგრამები, მაგარამ ვერ ხდება ინფორმაციის მიტანა საჭირო ადრესატამდე“ - განაცხადა ზუგდიდში მცხოვრებმა ახალგაზრდამ. გორში კი თვლიან, რომ „ეს დეცენტრალიზაცია ვითომ მოხდა, მაგარამ ადგილობრივი თვითმმართველობა მაინც ვერ ასრულებს დამოუკიდებელ პროგრამებს, ვერაფერს აკეთებენ ხელი რომ შეგვიწყონ ახალგაზრდებს, მარტო კონცერტების მოწყობა არაფერში გამოგვადგება“ ;

რეგიონებში ახალგაზრდული მეწარმეობის SWOT სქემა

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
<p>ახალგაზრდების ზოგადი განათლების დონე</p> <p>ბუნებრივი რესურსი</p> <p>ბუნებრივი პირობები/კლიმატური პირობები</p> <p>აგრარული მეურნეობის განვითარებული კონკრეტული დარგები</p> <p>კულტურული ძეგლები და ტურისტული ზონები</p>	<p>ახალგაზრდების ინდეფერენტულობა, არასწორი თვითშეფასება და მენტალური პრობლემები</p> <p>ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა</p> <p>არასწორი პროფესიების არჩევა</p> <p>ინფორმაციის ნაკლებობა</p> <p>სპეციალური განათლების და ცოდნის დაბალი დონე</p> <p>არაკვალიფიციური კადრები</p>
შესაძლებლობები	საფრთხეები
<p>ახალგაზრდების პარტნიორობა არსებული ბიზნესის წარმომადგენლებთან განვითარების და სწავლის მიზნით</p> <p>ადგილობრივი NGO-ს განვითარება, გაძლიერება</p> <p>ტურიზმის განვითარება</p> <p>ეკონომიკის დარგების განვითარება: სოფლის მეურნეობა, საწარმოო სექტორი, მომსახურება</p>	<p>ბუნებრივი კატასტროფები (სოფლის მეურნეობის დარგში, სტიქია:სეტყვა,გვალვა და ა.შ)</p> <p>მაღალი კონკურენცია სხვადასხვა დარგში</p> <p>მიგრაცია</p> <p>არასტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემო</p>

ადგილობრივი თვითმმართველობების ჩართულობის
გამლიერება

ადგილზე სხვადასხვა სამეწარმეო ხასიათის
კურსებისა და კონსულტაციების მიღება

ძირითადი დასკვნები და რეკომენდაციები

რეგიონალურ დონეზე ახალგაზრდების სამეწარმეო პოტენციალის გაზრდისა და მისი სათანადო რეალიზაციისათვის ეფექტიანი იქნებოდა შემდეგი ღონისძიებების და ინიციატივების განხორციელება:

- ✓ **ახალგაზრდების მოტივაციის დონის ამაღლება და ცნობიერების ცვლილება.** სხვა თანაბარ პირობებში ცნობიერებისა და დამოკიდებულების ცვლილებები ბუნებრივად, საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების კვლადაკვალ ხდება. თუმცა, ქვეყანაში ფაქტობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, აუცილებელია რომ ყველა სექტორმა, მათ შორის სახელმწიფო, არასამთავრობო თუ კერძომ, ერთიანი ძალისხმევითა და ხედვით აქტიურად იმუშაონ ახალგაზრდების განვითარებისათვის. წინამდებარე ამოცანა განსაკუთრებულად რთული გამოწვევაა და საჭიროებს თანმიმდევრული და გრძელვადიანი სტრატეგიის შემუშავებას. ახალგაზრდებს პირველ რიგში საჭიროებათ წარმატების მაგალითების გაცნობა, იმის დანახვა, რომ შესაძლებელია საკუთარი შრომითა და თავდადებით გაიუმჯობესონ მდგომარეობა, რომ კერძო სექტორში არის მათთვის ადგილი. ეფექტიანი იქნებოდა გარკვეული ფორუმების ანდა გამოფენების მოწყობა უშუალოდ ახალგაზრდა მეწარმეებისათვის, ასევე საინფორმაციო კამპანიის ჩატარება და წარმატების ისტორიების პოპულარიზაცია. ამასთან, აუცილებელია მათი ინფორმირებულობის, ცოდნის დონის ამაღლება და სხვა მხარდამჭერი ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება უშუალოდ მათი ცნობიერების ცვლილებისაკენ.
- ✓ **განათლებისა და ცოდნის დონის ამაღლება** - კვლევამ ნათლად გამოავლინა, რომ არის ახალგაზრდების ნაწილი, რომელიც ათვისებულ ცნობიერებას ბიზნესუნარების და შესაბამისი ცოდნის დონის ამაღლების საჭიროებას, როგორც იდეის შემუშავების პროცესში, ასევე უშუალოდ ეკონომიკური საქმიანობის წარმართვისას. თუმცა, ცალკეული საერთაშორისო თუ ადგილობრივი პროექტების გარდა, მათ ასეთი განათლების ან უნარების ზრდის ტრენინგის მიღების შესაძლებლობას არ სთავაზობენ. შესაძლოა, ადგილობრივმა თვითმმართველობამ ახალგაზრდებისათვის მოახდინოს პერიოდული კურსების ორგანიზება ისეთ საკითხებში, როგორებიცაა: ბიზნეს-იდეის შემუშავება, ბიზნეს-გეგმის მომზადება; დაფინანსების მიღების შესაძლებლობები; ფინანსური მართვა და ა.შ. ასევე, მნიშვნელოვანი იქნებოდა ცენტრალური მთავრობის მხრიდან მოხდეს დონორთა კოორდინაცია, რათა მაქსიმალურად იქნეს დაფარული ყველა რეგიონი. ხშირად, რამოდენიმე რეგიონში მუშაობს მრავალი არასამთავრობო ორგანიზაცია და სთავაზობს მსგავს შესაძლებლობებს ახალგაზრდებს, ხოლო დანარჩენი (როგორც წესი მცირე მოსახლეობიანი) რეგიონები კი საერთოდ უწყურადღებოდ რჩებიან. სამეწარმეო საბაზისო ცოდნის მიცემა ასევე შეიძლება საკუთარ თავზე აიღოს განათლების სამინისტრომაც და დამამთავრებელ კლასებში სასწავლო პროგრამაში

შეიტანოს „მეწარმეობის“ კურსი. მრავალ განვითარებულ ქვეყანაში ეკონომიკისა და ბიზნესის საფუძვლები ისწავლება სკოლაში. ამ პრაქტიკის საქართველოშიც დანერგვა მაღალ ეფექტიანი შედეგის მომცემი იქნებოდა.

- ✓ **პრიორიტეტული სფეროების გამოვლენა რეგიონალურ დონეზე** ახალგაზრდებისათვის ბიზნესის დასაწყებად. ეს კიდევ ერთი მიმართულებაა სადაც თვითმმართველობებს მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლიათ. კვლევამ აჩვენა, რომ ახალგაზრდებს ხშირ შემთხვევაში პრობლემა აქვთ ბიზნეს-იდეის ფორმირების ეტაპზევე. მათ ბუნებრივია არ გააჩნიათ შესაბამისი რესურსი, რომ გამოიკვლიონ და დაადგინონ რა პროდუქტზე ანდა მომსახურებაზე იქნება მოთხოვნა, რომელ დარგში არსებობს განვითარების შედარებით უკეთესი პერსპექტივა. ასევე არ ფლობენ ინფორმაციას, რომელ სფეროში იქნებოდა მცირე ბიზნესის დაწყება შედარებით ადგილი და ა.შ. ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელი იქნება თუ სათანადოდ მოხდება რეგიონალური ეკონომიკის პროფილების დადგენა და არსებული და პოტენციური დარგების შეფასება. ამგვარი ანგარიში, რომელიც აღწერდა ადგილობრივ რესურსებს, ბაზარს, განვითარებულ და პერსპექტიულ მიმართულებებს, ბიზნესის დაწყების მსურველ ახალგაზრდებს მისცემს მეტ შესაძლებლობას მიიღონ არგუმენტირებულ, რაციონალურ და რეალურ გათვლებზე დამყარებული გადაწყვეტილება თუ რომელ სექტორში და რა მასშტაბებით დაიწყონ ბიზნესი. უფრო მეტიც, ასეთი ინფორმაციის არსებობა ასევე მნიშვნელოვნად დაეხმარებოდა დონორ ორგანიზაციებს დაფინანსების შესახებ ოპტიმალური გადაწყვეტილების მიღებაში.
- ✓ **კერძო სექტორთან თანამშრომლობა და მენტორობის შესაძლებლობების შექმნა.** პრაქტიკული გამოცდილების არ ქონა ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარების ერთ-ერთი უდიდესი რისკ-ფაქტორია. უკვე განვითარებულ და შემდგარ მეწარმეებს შეუძლიათ მენტორობა გაუწიონ ბიზნეს საქმიანობის დაწყების მსურველ ახალგაზრდებს. ერთეულ ინიციატივები ერთეულ რეგიონებში რა თქმა უნდა გავლენას ვერ მოახდენს. ამდენად, საჭიროა გარკვეული პლატფორმის შექმნა და უშუალოდ მეწარმეების მოტივირება რომ ჩაერთონ ინიციატივაში. აღნიშნული საკითხი შესაძლოა ინიცირებულ იქნეს როგორც სამოქალაქო სექტორის, ასევე სახელმწიფოს მიერ. საწყის ეტაპზე აუცილებელი იქნება საინფორმაციო კამპანიის ჩატარება, რათა გარკვეულ უპირატესობასთან და პრესტიჟულობასთანაც კი რომ იყოს დაკავშირებული მენტორობის პროგრამაში მონაწილეობა. მსგავსი პროგრამის არსებობა, ახალგაზრდებს არამარტო მისცემს საშუალებას მიიღონ პრაქტიკული ცოდნა, გამოცდილება და რჩევები, არამედ მოხდება მათი ინსპირირება და მოტივაციის დონის მნიშვნელოვანი ამაღლება.
- ✓ **ახალგაზრდებისათვის სამეწარმეო სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით გრანტის/დაფინანსების მიღების შემდეგ.** სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისა და შემდგომში წარმატებული მართვისათვის ახალგაზრდები საჭიროებენ მუდმივ კონსულტაციებს. ამდენად, მნიშვნელოვანია რომ ბიზნესგანვითარების სერვისებზე ხელმისაწვდომობა იყოს მაღალი. ამ კუთხით, თვითმმართველობებს

შეუძლიათ გამოყონ ბიზნეს-კონსულტანტი, რომელიც სათანადო რჩევებს მისცემდა ახალგაზრდებს. როგორც წესი, სხვადასხვა საერთაშორისო პროექტებით, რომლებიც მიმართულია მეწარმეობის განვითარებისაკენ და შეიცავენ ბიზნეს-გრანტების გაცემას, ხდება ახალგაზრდებისათვის განვითარების სერვისების მიწოდება პრე-საგრანტო პროცესში. ბიზნეს-გრანტების გაცემის შემდეგ კი არ არის გათვალისწინებული უშუალოდ საქმიანობის პროცესში კონსულტაციების მიწოდება. მართალია, ეს ძირითად გამოწვეულია პროექტების დროში შეზღუდულობის ფაქტორით, თუმცა ისიც ფაქტია, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს პირველი ნაბიჯების სწორად გადადგმას და ეფექტიანი ბიზნეს-გადაწყვეტილების მიღებას.

- ✓ **ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის ზრდა.** ერთის მხრივ ახალგაზრდებში არის მოტივაციის დაბალი დონე დაიწყონ საკუთარი ბიზნეს-საქმიანობა, მაგრამ მეორეს მხრივ საკმაოდ შეზღუდულია მათი შესაძლებლობა დამოუკიდებლად მოიზიდონ ფინანსური რესურსები. რეალურად ასეთ შესაძლებლობებს მათ მხოლოდ რამოდენიმე არასამთავრობო და დონორი ორგანიზაცია სთავაზობს. ამგვარ პროექტებს აქვთ პერიოდული ხასიათი და მცირე მასშტაბები. ამასთან, ინფორმირების დონე ამ თუნდაც მცირე შესაძლებლობებზე არც თუ ისე მაღალია რეგიონებში. მნიშვნელოვანია, რომ მოხდეს პოტენციური ბენეფიციარების ფართომასშტაბიანი ინფორმირება ყველა მსგავსი ინიციატივის შესახებ და იმავდროულად უნდა გაიზარდოს დაფინანსების შესაძლებლობებიც, იქნება ეს დონორთა მობილიზირება ამ კუთხით, თუ საჯარო ფინანსების გამოყოფა.
- ✓ **სახელმწიფო პროგრამების ამოქმედება, რომელიც გამიზნული იქნება დამწყები ახალგაზრდა მეწარმეობის ხელშეწყობაზე, ან ამ ჯგუფისთვის ქვოტების განსაზღვრა ბიზნესის ხელშემწყობ მოქმედ პროგრამებში.** ოპტიმალური იქნება თუ გამოიყოფა სპეციალური ფონდები, რომლებიც მიმართული იქნება ახალგაზრდული მეწარმეობის განვითარებისაკენ და განსაკუთრებული ორიენტირი გაკეთდება რეგიონებში მცხოვრებ ახალგაზრდებზე. თუმცა, საწყის ეტაპზე ასევე შედეგიანი იქნება, თუ მოხდება გარკვეული ქვოტების დაწესება ახალგაზრდების ჯგუფებისათვის უკვე მოქმედ ბიზნესის ხელშემწყობ სახელმწიფო პროგრამებში, რომლებსაც ახორციელებენ სხვადასხვა სამინისტროები და საჯარო უწყებები.

დანართი

ფოკუს ჯგუფის სახელმძღვანელო

- I. მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა მუნიციპალიტეტში ბიზნესსაქმიანობების ძლიერი მხარეების შესახებ;**
 1. თქვენი აზრით, რა არის და რაში გამოიხატება ბიზნესსაქმიანობის ძლიერი მხარეები?
 2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს ძლიერი მხარეები? რა ფაქტორები იწვევს მათ არსებობას?
 3. თქვენი დაკვირვებით რა ფაქტორები უწყობს ხელს (შეიძლება შეუწყოს) თქვენი ძლიერი მხარეების შენარჩუნებას/განვითარებას და რა ფაქტორები ახდენს თქვენს ძლიერ მხარეებზე უარყოფით გავლენას?
- II. მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა ბიზნესსაქმიანობების სუსტ მხარეებზე**
 1. თქვენი აზრით, რა არის და რაში გამოიხატება ბიზნესსაქმიანობის სუსტი მხარეები?
 2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს სუსტი მხარეები? რა ფაქტორები იწვევს მათ არსებობას?
 3. თქვენი დაკვირვებით რა ფაქტორები უწყობს ხელს (შეიძლება შეუწყოს) თქვენი ძლიერი მხარეების აღმოფხვრას და რა ფაქტორები კიდევ უფრო მეტად აუარესებს თქვენი საქმიანობის სუსტ მხარეებს?
- III. მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა ბიზნესსაქმიანობების შესაძლებლობებზე**
 1. თქვენი აზრით, რა არის ის შესაძლებლობები, რომლებიც თქვენ დაგეხმარებოდათ თქვენი საქმიანობის განვითარებაში/გაფართოებაში?
 2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს შესაძლებლობები? რა ფაქტორები იწვევს მათ არსებობას?
 3. თქვენი აზრით რა არის საჭირო არსებული შესაძლებლობების გამოსაყენებლად?
 4. თქვენი აზრით ვინ უნდა იზრუნოს ამ შესაძლებლობების გამოყენებაზე?
- IV. მთავარი ამოცანა: შეფასდეს მონაწილეთა წარმოდგენა ბიზნესსაქმიანობების საფრთხეებზე**
 1. თქვენი აზრით, რა არის ის საფრთხეები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუშალოს ბიზნესსაქმიანობას მომავალში?
 2. თქვენი აზრით რატომ არსებობს ეს საფრთხეები? რა ფაქტორები იწვევს მათ არსებობას?
 3. თქვენი აზრით ვინ და როგორ უნდა იზრუნოს ამ საფრთხეების განეიტრალებაზე/მათი გავლენის შემცირებაზე?
- V. დამატებითი საკითხები**
 1. თქვენი აზრით რა თვისებები უნდა ჰქონდეს მეწარმეს, განსაკუთრებით ახალგაზრდას?
 2. ზოგადად როგორ ფიქრობთ თქვენს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდებს (თუნდაც გარეველ ნაწილს) აქვს თუ არა საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყების სურვილი? რატომ კი? რატომ არა?
 3. თქვენი აზრით, რა ტიპის მხარდაჭერაა საჭირო ახალგაზრდებისათვის სამწარმეო საქმიანობის დასაწყებად/ განსავითარებლად?
 4. როგორ მიიჩვენთ რამდენად ხელმისაწვდომია ფინანსური რესურსები ახალგაზრდა მეწარმეებისათვის? თუ არა რატომ? რა შეიძლება გაკეთდეს და ვისი მხრიდან რომ ხელმისაწვდომობის ხარისხი გაიზარდოს?
 5. თქვენი აზრით რამდენად აქვთ მუნიციპალიტეტში მცოვრებ ახალგაზრდებს საინტერესო და ორიგინალური ბიზნეს იდეები? გთხოვთ გაიხსენოთ მაგალითები? ხომ არ მიიჩნევთ რომ კარგი იქნებდა ბიზნეს-იდეების მომზადებაში და დახვეწაში დამატებითი კონსულტაციების მიღება?
 6. თქვენი აზრით რა ღონისძიებები უნდა განხორციელდეს იმისათვის რომ ახალგაზრდები მოემზადონ ბიზნესსაქმიანობის დასაწყებად და შემდგომში წარმატებულად უზურნველყონ მისი

მართვა? გთხოვთ ასევე გვითხრათ რომელმა მხარეებამა შეიძლება განახორციელონ დასახელებული ღონისძიებები?

7. გთხოვთ გაგვიზიაროთ სხვა საკითხები ანდა მოსაზრებები (რომლებიც არ განვიხილავს ან შესაძლოა გამოგვრჩა), რომლებიც თქვენი აზრით მნიშვნელოვანია ადგილობრივი ახალგაზრდების სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის კუთხით.
8. გაქვთ თუ არა ბიზნესიდეა? და რომელ სფეროში გსურთ/ისურვებდით საკუთარი სამეწარმეო საქმიანობის დაწყებას?